ხელშეკრულება № 41

ქ. თბილისი 27 ივნისის, 2011 წ

ერთი მხრივ, **სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,** მისი დირექტორის ბუბა კუდავას სახით (შემდგომში „დამკვეთი“) და მეორე მხრივ, შპს „დეგაპრინტი“, მისი დირექტორის ლ. სოხაძის სახით, შემდგომში „შემსრულებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას „საქართველოს 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეთის შესახებ“ კანონის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 6 იანვრის №18 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა – ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადები“ სასკოლო ინიციატივების წახალისების ქვეპროგრამის ფარგლებში ცენტრს დაუმზადოს სანიშნე (216 ც), სტიკერი (300ც.) მოსაწვევი (110 ც), მიღებული საქონლის ღირებულება და ოდენობა განსაზღვრული იქნება სასაქონლო ზედნადების და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 „შემსრულებელი” ვალდებულია შეასრულოს ზემოთ აღნიშნული სამუშაო.
2.2 „დამკვეთი“ ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში თანხის გადახდის პირობები, რაოდენობა, თანმიმდევრობა და ვადები.
2.3 მხარეები ვალდებულნი არიან დროულად და ჯეროვნად შეასრულონ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3. მხარეთა შორის ანგარიშსწორება

3.1 მხარეთა შორის ანგარიშსწორება წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით.
3.2 სახელშეკრულებო თანხა განისაზღვრა 289, 46 (ორას ოთხმოცდაცხრა ლარი და 46 თეთრი) ლარის ოდენობით. ანაზღაურება „დამკვეთის“ მიერ მოხდება მხარეების მიერ ხელშეკრულებაზე ხელისმოწერიდან არაუგვიანეს ათი დღისა.

4. დამატებითი პირობები

4.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით წერილობითი ფორმით, რომელიც აღნიშნული ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია.
4.2 სადავო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით.
4.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან 2011 წლის 15 ივლისამდე.

5. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსრულებელი”
შპს „დეგაპრინტი”
ქ. თბილისი, ვირსალაძის ქ № 8
საბანკო რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი ც/ფ
კოდი BAGAGE22; 220101502
ს/კ 204 444 477
ა/ნ 36069810205156570000

ლ. სოხაძე
შპს „დეგაპრინტის”-ს დირექტორი

„დამკვეთი”
სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
თბილისი, მ. ალექსიძის ქ. 1/3
საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
ს/კ 211 368 474
ტელ. 36 40 94

ბუბა კუდავა
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი